



მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„ქართული იდეა“

წესდება

თბილისი

2014

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული იდეა“ (შემდგომში - პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც თავისი საქმიანობით ხელს შეუწყობს დემოკრატიული, სამართლებრივი და ქართული სახელმწიფოს მშენებლობას.

1.2. პარტიის სრული სახელწოდებაა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული იდეა“. პარტიის შემოკლებული დასახელებაა: მპგ „ქართული იდეა“.

1.3. პარტია მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

1.4. პარტია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.5. პარტია წარმოადგენს საჯარო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირს.

1.6. პარტიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, დოლიძის ქუჩა კორპ. #27, ბინა #27.

მუხლი 2. მიზნები (ამოცანები)

2.1. პარტიის მიზანებია (ამოცანებია):

ა) დამოუკიდებელი, სამართლებრივი და ჭეშმარიტად ეროვნული ქართული სახელმწიფოს მშენებლობა და კანონის წინაშე ნებისმიერი მოქალაქის თანასწორობა;

ბ) საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის არსებული საკონსტიტუციო შეთანხმების (კონკორდატი) საფუძველზე ეკლესიის როლის გაზრდის ხელშეწყობა ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში;

გ) დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფა;

დ) სამართლიანობის აღდგენა და ამ მიზნით ნაცმოძრაობის ცხრაწლიანი მმართველობის პოლიტიკური შეფასება. რეპრესირებულთა (უკანონოდ დაპატიმრებული, ქონებაწართმეული, დახოცილი და სახელმწიფოს მიერ პოლიტპატიმრებად აღიარებული პირების) სრული რეაბილიტაცია;

ე) თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნა. პოლიტიკურ ველზე ახალი ჯანსაღი ძალების გამოჩენის მიზნით საარჩევნო სისტემის ძირეული რეფორმირება, ამომრჩეველთა ზუსტი სიის დადგენა და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფა;

ვ) სახელმწიფო სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე თანამშრომლობა ევროკავშირთან თუ სხვა საერთაშორისო სტრუქტურებთან. ქვეყნის დეოკუპაციის მიზნით რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება;

ზ) კეთილმეზობლური ურთიერთობა და ქმედითი თანამშრომლობა რეგიონისა თუ სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

თ) სულიერ-ზნეობრივი და ჯანსაღი თაობების აღზრდის მიზნით განათლების სისტემის ძირეული რეფორმირება;

ი) თანამედროვე და ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიულ პრიორიტეტად დასახვა;

კ) ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის სისტემის ფორმირება. ინვალიდებზე, სოციალურად დაუცველებზე და მსჯავრდებულებზე ზრუნვა. სტაჟისა და დამსახურების მიხედვით მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა;

ლ) ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა და ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს შექმნა. მიწის, წყლის, ტყისა და სახელმწიფო სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების გასხვისებაზე უარის თქმა;

მ) სოფლის შენარჩუნების (განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში) და სოფლის აღორძინების სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სუფსიდირება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა, მისი რეკლამირებისა და ქვეყნის გარეთ რეალიზაციისთვის მხარდაჭერა. შიდა სამომხმარებლო ბაზარზე უცხოეთიდან იმპორტირებული (ხშირად მდარე ხარისხის) პროდუქტების ჩანაცვლება ადგილობრივი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით;

ნ) დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფოს მხრიდან ახალდაქორწინებულებისა და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის სოციალური შეღავათებისა და დახმარების განსაზღვრა.

ო) ქვეყნის ისტორიული მემკვიდრეობისა და სულიერ-კულტურული ფასეულობების დაცვა და მოვლა-პატრონობა.

მუხლი 3. პარტიის მიზნების განხორციელების ფორმები

3.1. პარტია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად, საკუთარი პოლიტიკური მსოფლმხედველობის გავრცელების, მხარდამჭერთა და თანამოაზრეთა შემოკრების, არჩევნებში მონაწილეობის და კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფორმების გამოყენებით.

3.2. საწესდებო მიზნების მისაღწევად პარტია კანონით დადგენილი წესით:

ა) აქტიურად მონაწილეობს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში და აქტუალური საკითხების განხილვაში;

დ) ქმნის პარტიის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს (ფილიალი, წარმომადგენლობა, ახალგაზრდული ორგანიზაცია და სხვა) იურიდიული პირის უფლების გარეშე, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე;

ე) ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.

მუხლი 4. პარტიის წევრობა

4.1. წევრად მიღება

4.1.1 პარტიის წევრი შეიძლება გახდეს 18 წლის ასაკს მიღწეული პირი საქართველოს მოქალაქე, რომელიც იზიარებს პარტიის მსოფლმხედველობას, მიზნებს (ამოცანებს).

4.1.2. პარტიის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს საქართველოში ან უცხოეთში რეგისტრირებული სხვა პარტიის წევრი. მოქალაქეს, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, დაინიშნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურში სპეციალური უფლებამოსილებების მქონე მოსამსახურედ ანდა გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, შეუწყდება პარტიის წევრობა.

4.1.3. პარტიის დამფუძნებელი წევრი პარტიის წევრის სტატუსს იძენს დამფუძნებელ ყრილობაში მონაწილეობის საფუძველზე. შესაბამისად მის მიმართ არ ვრცელდება ამ მუხლის მომდევნო პუნქტებით დადგენილი ნორმები.

4.1.4. პარტიის წევრობის მსურველი პოლიტიკური საბჭოს მიერ დადგენილი ფორმის წერილობითი განცხადებით მიმართავს პოლიტიკურ საბჭოს. პოლიტიკური საბჭო წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შემოსვლიდან არა უგვიანეს 3 თვისა. გაწევრიანების საკითხის გადაწყვეტამდე წევრობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს პარტიის მინიმუმ 1 წევრის მიერ გაცემული წერილობითი რეკომენდაცია.

4.1.5. პარტიის პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

4.1.6. წევრად მიღებაზე უარის დასაბუთება აუცილებელი არ არის.

4.2. წევრთა უფლება-მოვალეობანი

4.2.1. პარტიის წევრს უფლება აქვს:

ა) პარტიის წესდებითა და პარტიის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებით დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს - აირჩიოს ან არჩეულ იქნეს პარტიის აღმასრულებელ, მაკონტროლებელ და სათათბირო ორგანოებში;

ბ) პარტიის მიზნების განსახორციელებლად ისარგებლოს პარტიის ქონებით;

გ) დაესწროს პარტიის ორგანოს იმ სხდომას, რომელზეც განიხილება მისი საქმიანობის ან ქცევის საკითხი და წარადგინოს თავისი მოსაზრებები;

დ) მიმართოს პარტიის შესაბამის ორგანოს წერილობითი წინადადებით, განცხადებით, საჩივრით და მიიღოს დასაბუთებული პასუხი მიმართვიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში;

ე) გაეცნოს პარტიის ორგანოების ხელთ არსებულ დოკუმენტაციას პარტიის საქმიანობის შესახებ;

ვ) დადგენილი წესით დაასახელოს კანდიდატურა პარტიის ხელმძღვანელ, აღმასრულებელ და მკონტროლებელ ორგანოში ასარჩევად;

ზ) გაასაჩივროს პარტიის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის გადაწყვეტილება ზემდგომ ორგანოში;

თ) პოლიტსაბჭოსადმი წერილობითი მიმართვის საფუძველზე ნებაყოფლობით გავიდეს პარტიიდან.

4.2.2. პარტიის წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას პარტიის წესდება და ხელი შეუწყოს პროგრამის შესრულებას;

ბ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს პარტიის საქმიანობაში;

გ) კეთილსინდისიერად შეასრულოს პარტიის ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მკონტროლებელი ორგანოების გადაწყვეტილება;

დ) დაემორჩილოს პარტიულ დისციპლინას და დაიცვას დადგენილი წესები;

ე) არ მიიღოს მონაწილეობა პარტიის პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგო საქმიანობაში;

ვ) თავისი მოქმედებით არ დაუშვას პარტიის დისკრედიტაცია;

ზ) პარტიის სახელით არ გააკეთოს საჯარო განცხადება;

თ) პასუხისმგებლობითა და პრინციპულობით მოეკიდოს ახალი წევრის მისაღებად გაწეულ რეკომენდაციას, კეთილსინდისიერად დაახასიათოს წევრობის კანდიდატი, პირუთვნელად აღნიშნოს რეკომენდაციაში მისი დადებითი და ნაკლოვანი მხარეები;

ი) პოლიტიკური საბჭოს მოთხოვნის შემთხვევაში ჩააბაროს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ;

კ) წარმომადგენლობით ორგანოში არჩევის შემთხვევაში გაერთიანდეს პარტიის ფრაქციაში ან იმ კოალიციის ფრაქციაში, რომლის შემადგენლობაშიც შესულია პარტია;

ლ) პოლიტიკური საბჭოს მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით გადაიხადოს საწევრო შესატანი;

მ) გაუფრთხილდეს პარტიის ქონებასა და სახსრებს;

ნ) კეთილსინდისიერად შეასრულოს პარტიის წესდებით და დებულებებით მასზე დაკისრებული სხვა მოვალეობანი.

4.3. შიდაპარტიული დისციპლინა და პარტიის წევრის პასუხისმგებლობის ფორმები:

4.4.1. პარტიის წევრი პასუხს აგებს პარტიის წინაშე წესდებით მასზე დაკისრებული მოვალეობების უფულველყოფის შემთხვევაში. საწესდებო მოთხოვნების დარღვევის თაობაზე საკითხის განხილვა წარმოებს უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

4.3.2. პარტიაში დაწესებულია შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:

ა) წერილობითი გაფრთხილება;

ბ) წერილობითი საყვედური;

გ) პარტიიდან გარიცხვა.

4.3.3. პასუხისმგებლობის დაკისრების წესი

4.4.3.1. პარტიის წევრის დისციპლინარული დარღვევის თაობაზე მოხსენებითი ბარათის შედგენაზე უფლებამოსილი პირები არიან: პარტიის პოლიტიკური საბჭოს ან სარევიზიო კომისიის წევრი, პარტიის თავმჯდომარე, პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი.

4.3.3.2. დისციპლინური ზომის დაკისრების საკითხს იხილავს და დასაბუთებულ წერილობით გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის გამგეობა ან პარტიის პოლიტიკური საბჭო. სტრუქტურული ქვედანაყოფის გამგეობას უფლება არა აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს დისციპლინური ზომის დაკისრების საკითხი, თუ იმავე საკითხს იხილავს პარტიის პოლიტიკური საბჭო.

4.3.3.3. დისციპლინური ზომის დაკისრების შესახებ სტრუქტურული ქვედანაყოფის გამგეობის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება პარტიის პოლიტიკურ საბჭოში, გადაწყვეტილების გამოტანიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ შემთხვევაში პარტიის პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილება დისციპლინური ზომის დაკისრების შესახებ საბოლოოა.

4.3.3.4. იმ შემთხვევაში თუ დისციპლინური ზომის დაკისრების შესახებ პირველადი გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა პარტიის პოლიტიკური საბჭოს მიერ, მაშინ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება გადაწყვეტილების გამოტანიდან ასევე 14 კალენდარული დღის განმავლობაში პარტიის სარევიზიო კომისიაში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

4.3.3.5. მხოლოდ პარტიის პოლიტიკური საბჭოა უფლებამოსილი დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება პარტიის წევრის გარიცხვის შესახებ.

4.3.3.6. პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრის პასუხისმგებლობის საკითხი განიხილება პოლიტიკური საბჭოს მიერ. გადაწყვეტილება პოლიტიკური საბჭოს წევრის

პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მიიღება პოლიტიკური საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ორი მესამედით.

4.3.3.7. გადაწყვეტილება პარტიიდან გარიცხვის შესახებ წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული.

4.4. პარტიის წევრობის შეწყვეტის წესი და პირობები

4.4.1. პარტიის წევრობის შეწყვეტის საფუძველებია:

ა) პარტიის წევრობიდან საკუთარი წერილობითი განცხადების საფუძველზე ნებაყოფლობითი გასვლა;

ბ) პარტიიდან გარიცხვა;

გ) გარდაცვალება;

დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით პირის გარდაცვლილად გამოცხადება;

ე) სასამართლოს გადაწყვეტილებით პირის ქმედუუნაროდ ცნობა;

ვ) სასამართლოს გადაწყვეტილებით პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

4.4.2. პარტიის წევრის პარტიიდან გარიცხვის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) თუ პარტიის წევრის საქმიანობა ეწინააღმდეგება პარტიის მიზნებს ან იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

ბ) სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა პარტიის წევრის მიერ სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას.

4.4.3. პარტიის წევრობის შეწყვეტის თარიღად ითვლება 4.4.1 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველის დადგომის თარიღი.

მუხლი 5. პარტიის ყრილობა

5.1.1 პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი და წარმომადგენლობითი ორგანოა პარტიის ყრილობა (შემდგომში - ყრილობა), რომელსაც იწვევს პარტიის პოლიტიკური საბჭო.

5.1.2. პარტიის მორიგი ყრილობა მოიწვევა წინა ყრილობის ჩატარებიდან მე-4 წელს.

5.1.3. ყრილობაზე დასასწრებად პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან აირჩევიან სრულუფლებიანი წარმომადგენლები (დელეგატები). ყრილობაში მონაწილეობას იღებს არანაკლებ 301 წარმომადგენელი. წარმომადგენლობის კვოტასა და წესს (საქართველოს

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ორგანული კანონის 17.2 მუხლის მიხედვით) განსაზღვრავს პოლიტიკური საბჭო.

5.1.4. ყრილობაში სრულუფლებიან წარმომადგენლებად (დელეგატებად) მონაწილეობენ პარტიის პოლიტიკური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრები, აგრეთვე აღმასრულებელი მდივანი.

5.1.5. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრულუფლებიან წარმომადგენელთა (დელეგატთა) ნახევარზე მეტი.

5.1.6. ყრილობას ხელმძღვანელობს ყრილობის თავმჯდომარე, რომელსაც პოლიტიკური საბჭოს წარდგინებით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით ირჩევენ ყრილობის მონაწილე სრულუფლებიანი წარმომადგენლები (დელეგატები).

5.1.7. ყრილობა მიმდინარეობს პარტიის პოლიტიკური საბჭოს მიერ წარდგენილი დღის წესრიგითა და წესით, რომელსაც მხარი უნდა დაუჭიროს დამსწრე სრულუფლებიან წარმომადგენელთა (დელეგატთა) უმრავლესობამ.

5.1.8. ყრილობის გადაწყვეტილება, გარდა წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მიიღება ღია კენჭისყრით დამსწრე სრულუფლებიან წარმომადგენელთა (დელეგატთა) ხმების უმრავლესობით. ყრილობის გადაწყვეტილება სავალდებულოა პარტიის ყველა წევრის, ორგანოსა და სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის.

5.1.9. განსაკუთრებულ შემთხვევებში ყრილობის ცალკეული გადაწყვეტილების მისაღებად დამსწრე სრულუფლებიან წარმომადგენელთა (დელეგატთა) ნახევარზე მეტის მოთხოვნით დასაშვებია ფარული კენჭისყრის მოწყობა.

5.2. ყრილობა უფლებამოსილია:

5.2.1. სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით მიიღოს პარტიის წესდება, შეიტანოს მასში ცვლილებები და დამატებები;

5.2.2. სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიიღოს პარტიის პროგრამული დოკუმენტები;

5.2.3. მოისმინოს და შეაფასოს პარტიის პოლიტსაბჭოს ანგარიში;

5.2.4. მოისმინოს და დაამტკიცოს სარევიზიო კომისიის ანგარიში;

5.2.4. მოისმინოს პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების, ხელისუფლების ორგანოებში არჩეული ან დანიშნული პარტიის წევრების ანგარიშები და შეაფასოს მათი საქმიანობა;

5.2.5. პარტიის წევრთაგან აირჩიოს პარტიის აღმასრულებელი ორგანო - პოლიტიკური საბჭო, პარტიის თავმჯდომარე და პარტიის სარევიზიო კომისიის წევრები 4 წლის უფლებამოსილების ვადით;

5.2.6. დაამტკიცოს პარტიის სიმბოლიკა;

5.2.7. ყრილობაზე დამსწრე სრულუფლებიან წარმომადგენელთა (დელეგატთა) ორი მესამედის უმრავლესობით გადაწყვეტოს პარტიის რეორგანიზაციის (შერწყმა, შეერთება, გაყოფა) ან ლიკვიდაციის საკითხი;

5.2.8. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

5.3. რიგგარეშე ყრილობა

5.3.1 რიგგარეშე ყრილობა მოიწვევა პოლიტიკური საბჭოს, თავმჯდომარის ან წევრთა ერთი მეთაედის წერილობითი მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

5.3.2. პარტიის პოლიტიკური საბჭო ვალდებულია რიგგარეშე ყრილობის მოწვევა და ჩატარება უზრუნველყოს მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში.

5.3.3. რიგგარეშე ყრილობა იმართება ინიციატორის მიერ წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვისთანავე.

მუხლი 6. პარტიის პოლიტიკური საბჭო

6.1. პარტიის აღმასრულებელი ორგანოა მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 30 წევრისაგან შემდგარი პარტიის პოლიტიკური საბჭო (შემდგომში - პოლიტსაბჭო), რომლის წევრებსაც ოთხი წლის ვადით ირჩევს ყრილობა. პოლიტიკური საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს ის პირიც, რომელიც არ იმყოფება ყრილობაზე, თუ არსებობს მისი წინასწარი წერილობითი თანხმობა პოლიტიკური საბჭოს წევრად არჩევის თაობაზე.

6.2 პოლიტსაბჭოს მიმდინარე საქმიანობას კოორდინაციას უწევს პარტიის აღმასრულებელი მდივანი. პოლიტსაბჭოს სხდომები იმართება თვის ყოველ მეორე პარასკევს. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა პარტიის თავმჯდომარის ან აღმასრულებელი მდივნის მიერ საკუთარი ინიციატივით ან პოლიტსაბჭოს წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით. პოლიტსაბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, პარტიის თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

6.3. პოლიტსაბჭოს სხდომებს უძღვება პარტიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, მის ფუნქციებს ასრულებს პარტიის აღმასრულებელი მდივანი. აღმასრულებელი მდივნის არყოფნის შემთხვევაში პოლიტსაბჭო თავად ირჩევს სხდომის თავმჯდომარეს დამსწრე წევრებიდან ფარული კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით.

6.4. პოლიტიკური საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) შემუშავოს და პარტიის ყრილობას დასამტკიცებლად წარუდგინოს პარტიის წესდების, საარჩევნო სტრატეგიისა და პროგრამული დოკუმენტების პროექტები;

ბ) საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს შორის პერიოდში შეიმუშავოს პარტიის ყრილობის მიერ დამტკიცებული პროგრამიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმა;

გ) მიიღოს გადაწყვეტილება პარტიის საარჩევნო ბლოკში, კოალიციაში (მათ შორის, სამთავრობო კოალიციაში) შესვლის შესახებ, აგრეთვე არჩევნებისათვის ბოიკოტის გამოცხადების თაობაზე;

დ) დაამტკიცოს ყველა დონის არჩევნებისათვის წარსადგენი კანდიდატები;

ე) შექმნას საარჩევნო შტაბი და დაამტკიცოს მისი ხელმძღვანელი;

ვ) განიხილოს და პოლიტიკური საბჭოს წევრთა ხმების ორი მესამედით, დაამტკიცოს პოლიტიკური საბჭოს რეგლამენტი;

ზ) შექმნას და გააუქმოს სტრუქტურული ქვედანაყოფები (ფილიალი, წარმომადგენლობა, ახალგაზრდული ორგანიზაცია და სხვა), რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, დაამტკიცოს მათი სამოქმედო ტიპური დებულება, საშტატო განრიგი და ბიუჯეტი;

თ) აირჩიოს ან გაათავისუფლოს აღმასრულებელი მდივანი.

ი) მიიღოს გადაწყვეტილება პარტიის წევრად მიღებისა და წევრის გარიცხვის საკითხზე;

კ) რეკომენდაცია მისცეს პარტიის წევრს პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად ასარჩევად;

ლ) განიხილოს და გადაწყვიტოს პარტიის წევრის, მათ შორის, პოლიტსაბჭოს წევრის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

მ) გააუქმოს სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის წესდებას, საარჩევნო პროგრამას ან სტრატეგიას;

ნ) მისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს პარტიის წევრების საჩივრები;

ო) მიიღოს გადაწყვეტილება პარტიის ბეჭდვითი ორგანოსა და სხვა საინფორმაციო საშუალებების ჩამოყალიბების თაობაზე, დაამტკიცოს მათი დებულებები;

პ) დაამტკიცოს პარტიის წევრთა აღრიცხვისა და ხელახალი რეგისტრაციის წესი;

ჟ) განსაზღვროს საწევრო შენატანის ოდენობა;

რ) შეასრულოს ამ წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები, მიიღოს გადაწყვეტილებები ყველა იმ საკითხებზე, რომლებიც წარმოიშობა ყრილობებს შორის პერიოდში და რომლებიც არ განეკუთვნება ყრილობის ან ამ წესდებით და კანონით განსაზღვრულ სხვა ორგანოთა განსაკუთრებულ კომპეტენციას.

6.5. პოლიტიკური საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ხელს აწერს პარტიის თავმჯდომარე.

6.6. პოლიტსაბჭოს წევრის უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეწყდება:

- ა) პარტიის წევრობის შეწყვეტისას;
- ბ) პირადი განცხადების საფუძველზე;
- გ) ყრილობის გადაწყვეტილებით.

მუხლი 7. თავმჯდომარე

7.1. პარტიის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს პარტიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – აღმასრულებელი მდივანი.

7.2. პარტიის თავმჯდომარეს ოთხი წლის ვადით პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობიდან ირჩევს ყრილობა. პირი პარტიის თავმჯდომარედ არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ ორზე მეტი ვადით. თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს პოლიტსაბჭოს ნებისმიერ წევრს ან პარტიის წევრთა ერთ მეათედს. პარტიის თავმჯდომარის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და იწურება უფლებამოსილების ვადის გასვლისთანავე.

7.3. თავმჯდომარე:

- ა) წარმართავს პარტიის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;
- ბ) ხელმძღვანელობს პოლიტსაბჭოს საქმიანობას და უძღვება მის სხდომებს;
- გ) ერთპიროვნულად წარმოადგენს პარტიას მესამე პირებთან ურთიერთობაში, წარმოადგენს პარტიის ზოგად და სპეციალურ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს;
- დ) ზედამხედველობს პარტიის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალურ ქონების მართვას;
- ე) ხელს აწერს პარტიის ოფიციალურ დოკუმენტებს;
- ვ) აღმასრულებელი მდივნის არჩევამდე, ან ამ უკანასკნელის მიერ ფუნქციების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასრულებს მის ფუნქციებს;
- ზ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

7.4. თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან პარტიის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ ყრილობას.

მუხლი 8. აღმასრულებელი მდივანი

8.1 პარტიის აღმასრულებელი მდივანი ერთპიროვნულად წარმოადგენს (აღჭურვილია სპეციალური წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით) პარტიას საფინანსო, აუდიტორულ და საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობაში.

8.2. აღმასრულებელ მდივანს 4 (ოთხი) წლის ვადით ირჩევს პოლიტსაბჭო, თავმჯდომარის წარდგინებით.

8.3. აღმასრულებელი მდივანი:

ა) გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველკვარტლურად ანგარიშს აბარებს პოლიტსაბჭოს;

ბ) პოლიტსაბჭოს მიერ დადგენილი წესით განკარგავს პარტიის ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე. ხელს აწერს შესაბამის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას.

8.2. პარტიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ახორციელებს მის ფუნქციებს.

მუხლი 9. სარევიზიო კომისია

9.1. სარევიზიო კომისიას ირჩევს პარტიის ყრილობა 4 წლის ვადით, არა ნაკლებ 3 და მაქსიმუმ 7 წევრის შემადგენლობით. სარევიზიო კომისიას უფლებამოსილება უწყდება საარჩევნო უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე.

9.2. სარევიზიო კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება გადადგომის ან პარტიის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში.

9.3. სარევიზიო კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან, წევრთა ხმების უმრავლესობით, ირჩევს სარევიზიო კომისია.

9.4. სარევიზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პარტიის სხვა ორგანოს წევრი.

9.5. სარევიზიო კომისიის სხდომები იმართება არა ნაკლებ 6 თვეში ერთხელ. სარევიზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

9.6. სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია მხოლოდ პარტიის ყრილობის წინაშე.

9.7. სარევიზიო კომისია უფლებამოსილია:

ა) აკონტროლოს პარტიის წევრების, პარტიის ორგანოებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ პარტიის წესდების მოთხოვნათა დაცვა;

ბ) პარტიის პოლიტსაბჭოსა და სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან გამოითხოვოს და მიიღოს თავისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტაცია;

გ) განახორციელოს პარტიის საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობის სრული რევიზია და თავისი დასკვნები წარუდგენოს ყრილობას;

დ) სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს პარტიის ნებისმიერი ორგანოს სხდომას.

ე) განიხილოს პარტიის წევრის საჩივარი პარტიის პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებაზე დისციპლინური ზომის დაკისრების თაობაზე.

მუხლი 10. მრჩეველთა საბჭო

10.1. პარტიის საკონსულტაციო ორგანოა პოლიტიკური საბჭოს მიერ შექმნილი მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭოს წევრთა რაოდენობა არ არის შეზღუდული.

10.2. მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია:

ა) საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს შორის პერიოდში შეიმუშავოს პარტიის ყრილობის მიერ დამტკიცებული პროგრამიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმის პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს პოლიტსაბჭოს;

ბ) შეიმუშაოს საარჩევნო პროგრამისა და სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები;

გ) განიხილოს ყველა დონის არჩევნებისათვის წარსადგენი კანდიდატები;

დ) განიხილოს შიდაპარტიული და ორგანიზაციული საქმიანობის აქტუალური საკითხები, შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები და წინადადებები;

10.2. მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებებს აქვს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი და იგი შესასრულებლად სავადებულო არაა.

მუხლი 11. პარტიის ქონება

11.1. პარტიის სახსრების ფორმირების წაყარობა საწევრო შენატანები, წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობების და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.

11.2. პარტიას საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს შენობა-ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, სხვა უძრავი და მოძრავი ქონება, რომელიც მას ესაჭიროება საწესდებო მიზნების მისაღწევად და რაც ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით.

11.3. პარტიის ქონება და სახსრები შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას და მისი გამოყენება სხვა დანიშნულებით დაუშვებელია.

მუხლი 12. პარტიის სიმბოლიკა

12.1. პარტიას აქვს ემბლემა, ბეჭედი, სატიტულო ფურცელი

12.2. პარტიის ემბლემა რუხი ფერის შიდა წრე, რომლის ცენტრში გამოსახულია ყვითელი ფერის ქარქაშში ჩაგებული ხმალი, რომელიც ამავდროულად არის პარტიის დასახელების საწყისი ასოები („ქ“ და „ი“) ნუსხური დამწერლობით. წრის ზედა კიდეში ცენტრში გამოსახულია ყვითელ და თეთრ ფერებში შესრულებული გვირგვინი, ხოლო წრის ქვედა კიდეში თეთრი ასოებით წარწერა „ქართული იდეა“ (სახელოდების პირველი ასოები „ქ“ და „ი“

შესრულებულია ნუსხური დამწერლობით). რუხი ფერის შიდა წრეს გარს აკრავს მუქი რუხი ფერის გარეთა წრე, რომელშიც ყვითელი ასოებით ჩაწერილია პარტიის დევიზი „რწმენითა და სიყვარულით ღირსეული მომავლისათვის“.

12.3. პარტიის ბეჭედი მრგვალი ფორმისაა, რომლის გარეთა წრეში შესრულებულია პარტიის სრული სახელწოდება ქართულ ენაზე. შიდა წრეში გამოსახულია პარტიის ემბლემის რეკვიზიტები: ქარქაშში ჩაგებულ სმალი, რომელიც ამავდროულად არის პარტიის დასახელების საწყისი ასოები („ქ“ და „ი“) ნუსხური დამწერლობით. წრის ზედა კიდეში ცენტრში გამოსახულია გვირგვინი. (ბეჭედი გამოსახება ფერადი მელანით).

12.4. პარტიის სატიტულო ფურცელი წარმოადგენს ა4 ტიპის ქაღალდის ფურცელს, რომლის ზედა მარცხენა კუთხეში გამოსახულია პარტიის ემბლემა. ემბლემის გასწვრივ განთავსებულია პარტიის სახელწოდება ქართულ ენაზე, ხოლო ემბლემისა და სახელწოდების ქვეშ აღნიშნულია თარიღისა და ნომრის რეკვიზიტები. ფურცლის ქვედა კიდეში მითითებულია პარტიის იურიდიული მისამართისა და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

12.5. დროშა: თეთრი ფერის მართკუთხედი, რომლის ცენტრში გამოსახულია პარტიის ემბლემა.

მუხლი 13. პარტიის საქმიანობის შეწყვეტა

13.1. მხოლოდ პარტიის ყრილობაა უფლებამოსილი ყრილობაზე დამსწრე სრულუფლებიან წარმომადგენელთა (დელეგატთა) ორი მესამედის უმრავლესობით გადაწყვიტოს:

ა) მოახდინოს პარტიის რეორგანიზაცია (შერწყმა, შეერთება, გაყოფა);

ბ) მოახდინოს პარტიის თვითლიკვიდაცია.

13.2. პარტიის საქმიანობის შეწყვეტა შესაძლებელია აგრეთვე კანონით დადგენილ სხვა შემთხვევაშიც.

13.3. პარტიის რეორგანიზაციის შემდგომ დარჩენილი ქონება გადაეცემა მის უფლებამონაცვლეს.

13.4. პარტიის ლიკვიდაციის შემთხვევაში ყრილობის მიერ იქმნება სალიკვიდაციო კომისია, რომელიც წარმართავს ლიკვიდაციის პროცედურას.

13.5. პარტიის ლიკვიდაციის შემდგომ დარჩენილი ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.